დადგენილება №27/2026 "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2026-2027 სასწავლო წელს მუსიკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2025 წლის 01 დეკემბრის #39/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება: №27/2026
თარიღი: 23 ივლისი, 2026 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე და 63–ე მუხლების, „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 16 ივლისის #07 სხდომის ოქმის ამონაწერისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №08 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2026-2027 სასწავლო წელს მუსიკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2025 წლის 01 დეკემბრის #39/2025 დადგენილებაში და სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2026-2027 სასწავლო წელს მუსიკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 10 (ათი) ადგილით (სახელმწიფო დაფინანსება).

2. დადგენილება დაეგზავნოს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი